

ანა ზუბაშვილი¹

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.24>

სოციალური ქსელების საიტების გადაჭარბებული მოხმარება: ემპირიული კვლევების მიმოხილვა

აბსტრაქტი. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ბევრი სიკეთე მოიტანა – უმრავლესობისათვის ინტერნეტი უმრავი შესაძლებლობის შემქმნელი საოცარი ინფორმაციული ინსტრუმენტია. მაგრამ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ტექნოლოგიების გადაჭარბებულ მოხმარებას მოჰყვება არაერთი ნეგატიური შედეგი – ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები, ჯანმრთელობის პრობლემები, სოციალური თუ პროფესიული დარღვევები და სხვ., ანუ სიმპტომები, რომელიც ტრადიციულად უკავშირდება ფსიქოპათოლოგიურ ნივთიერებათა მოხმარებას ან აზარტულ თამაშებს.

სტატიაში წარმოდგენილია სოციალური ქსელების საიტების გადაჭარბებული მოხმარების საკითხისადმი მიძღვნილი უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, რომელმაც აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის გადაჭარბებული მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები საკამათო აღარ არის, კონსენსუსი ამ ფენომენის კონცეპტუალიზაციასა და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით მიღწეული ვერ იქნა, რის გამოც ის ადიქციად არ იქნა აღიარებული არც DSM-5-სა და არც ICD-11-ს მიერ. ადიქციის კონცეფციის ალტერნატიული მიდგომაა პრობლემური მოხმარების თეორია, რომლის ფარგლებში ფენომენი განიხილება არა როგორც პათოლოგია, კლინიკური დარღვევა, არამედ უფრო ნეგატიური შედეგების გამომწვევი კოგნიციები და ქცევა, ანუ კოგნიტურ-ქცევითი პარადიგმა – თვითრეგულაციის პრობლემა.

¹ ანა ზუბაშვილი - კავკასიის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ქსელების საიტების პრობლემური მოხმარება, კოგნიტურ-ქცევითი პარადიგმა, კომპენსატორული მოდელი, არარეალიზებული მოთხოვნები, ნეგატიური შედეგები, ფსიქოსოციალური პრობლემები.

Ana Zubashvili²

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Excessive Social Networking Sites Use: a Review of Empirical Research

Abstract. The development of digital technology has brought many benefits to mankind - for majority the Internet is an amazing information tool with many opportunities. But numerous studies conducted over the last two decades have revealed that in some cases, excessive, uncontrolled consumption of these technologies might lead to a number of negative consequences - psychopathological symptoms, health problems, social or occupational disorders, etc., that is, symptoms traditionally associated with psychoactive substance usage or gambling.

The article presents a review of foreign literature about this topic, which showed that although mental health problems related to excessive Internet use are no longer debatable, consensus could not be reached on the conceptualization and diagnosis of this phenomenon, which is why it was not recognized as an addiction for neither DSM-5 nor ICD-11. An alternative approach to the concept of addiction is the theory of problematic use, in which the phenomenon is considered not as a pathology, a clinical disorder, but as a cognition that causes more negative effects and behavior, or cognitive-behavioral paradigm - the problem of self-regulation.

Keywords: problematic social networking sites use, cognitive-behavioral paradigm, compensatory model, unrealized needs, negative results, psychosocial problems

ძირითადი კვლევა. სოციალური ქსელების საიტების ისტორია 1997 წლით თარიღდება, როცა გაჩნდა პირველი სოციალური ქსელი „Six Degrees“, როგორც ხორცშესხმა Milgram-ის „მცირე სამყაროს“ იდეისა, რომელშიც ექვსი

² **Ana Zubashvili** - Master of Clinical Psychology of Caucasus University, Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

საფეხურით დაშორებული ადამიანები სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდებიან (Boyd & Ellison, 2008). 2004 წელს შეიქმნა Facebook, როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის დახურული ონლაინ სივრცე. დღეს ის ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია. 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სოციალური ქსელების მომხმარებელთა საერთო რიცხვი 4.65 მლრდ., ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 58.7%-ს, შეადგენს. Facebook მომხმარებელთა რიცხვმა 2.912 მლრდ. მიაღწია, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 36.8% შეადგენს. მეორე ადგილზეა Instagram 1.452 მლრდ. მომხმარებლით, თუმცა ახალგაზრდებს (18-34 წლის ქალები და 18-24 წლის მამაკაცები) შორის ის პირველ ადგილზეა. სოციალური ქსელების მომხმარებელთა რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდება: ბოლო წლის განმავლობაში (2021 წლის იანვრიდან 2022 წლის იანვრამდე) Facebook მომხმარებელთა რიცხვი 115 მილიონით გაიზარდა, ანუ ყოველწლიურმა ზრდამ 7.5%-ს მიაღწია, რაც ნიშნავს ერთ წამში 10 ახალ მომხმარებელს (Overview of Global Internet Use; 2022). დასტურდება ხელმისაწვდომობის ჰიპოთეზა: ხელმისაწვდომობის ზრდას მონაწილეთა მატება მოჰყვება (Griffiths M. D., 2003; Young K. , 2015). ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით ხელი შეუწყო სმარტფონებმა/პლანშეტებმა, რომლებიც მუდმივ კავშირს უზრუნველყოფს. მეორე მხრივ, კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომობას ზრდას ხელს უწყობს სოციალური ქსელების სტრუქტურაც – ახალი ფუნქციების შემუშავება საიტზე გატარებული დროის გასაზრდელად, შესვლას შორის დროის ინტერვალის შესამცირებლად, მუდმივი ჩართულობის წასახალისებლად და სხვ. (Aboujaoude & Gega, 2020).

ამის კვალბაზე მსოფლიოში სწრაფად იზრდება პრობლემურ მომხმარებელთა რიცხვი. სულ უფრო მეტი პირი მიმართავს მკურნალობას პრობლემური ციფრული ქცევის (მათ შორის სოციალური ქსელების არაკონტროლირებადი მოხმარების) სამართავად (Kuss & Lopez-Fernandez, 2016; Thorens, et al., 2014). ციფრული ტექნოლოგიების გადაჭარბებული მოხმარება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემად ჯერ კიდევ 2014 წელს აღიარა (World Health Organisation, 2014). ჩინეთმა და სამხრეთ კორეამ ინტერნეტ-ადიქცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან მუქარად აღიარეს (Block, 2008). 2017 წელს გამოქვეყნებული Royal Society for Public Health (RSPH) და Young Health Movement (YHM) მოხსენების „#StatusOfMind“ თანახმად, ბოლო 25 წლის განმავლობაში ახალგაზრდებს შორის დეპრესიის გამოვლენილი მაჩვენებლები 70%-ით გაიზარდა, რასაც მკვლევრებმა „Facebook დეპრესიაც“ კი დაარქვეს. Twitter შეტყობინებათა შესწავლით მოხერხდა დეპრესიის ამოცნობა 70%-ის სიზუსტით (Status of Mind,

2017). კიდევ ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ კომპიუტერულ სკრიპტს შეუძლია Instagram-ზე აქტიურული ფოტოების გაანალიზება და დეპრესიის ამოცნობა (Smith & Anderson, 2018). ბევრი პირი ერთზე მეტი სოციალური ქსელის მომხმარებელია, ხოლო ერთზე მეტ სოციალურ ქსელში პროფილის წარმოება უკავშირდება სოციალური შფოთვის სიმპტომებს (Becker, Alzhabi, & Hopwood, 2013). ამ მოხსენებაში წარმოდგენილია აგრეთვე ოთხი სოციალური ქსელის მოხმარებასთან დაკავშირებული პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ნეგატიურ გავლენას Instagram ახდენს, რომელიც პირდაპირ უბიძგებს ადამიანს სოციალური შედარებისკენ. „როცა სოციალური ქსელი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სხვები უკეთესად ცხოვრობენ, ბუნებრივია, რომ შენი ცხოვრების ხარისხი საეჭვოდ გეჩვენება“ (Wiederhold, 2018, გვ. 215). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ Instagram უარყოფითად მოქმედებს თვითშეფასებასა და ემოციურ მდგომარეობაზე, ხელს უწყობს არარეალისტური მოლოდინებისა და არაადეკვატურობის განცდის ჩამოყალიბებას (Smith & Anderson, 2018). სინგაპურში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ Instagram მოხმარების შემოქმედება სოციალურ შფოთვაზე გაშუალებულია სოციალური შედარებითა და თვითშეფასებით (Jiang & Ngien, 2020). „#StatusOfMind“ ავტორთა აზრით, ამ ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფილტრით დამუშავებულ ფოტოებზე სპეციალური მინიშნების შემოღება. ნეგატიური გავლენით მეორე ადგილზე Snapchat, მესამეზე – Facebook; ყველაზე „უწყინარი“ Twitter მოხმარება აღმოჩნდა (Status of Mind, 2017, გვ. 20-23).

2017 წლამდე ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგების შეჯამებამ (Kuss & Griffiths, 2017) აჩვენა, რომ ტერმინი „ინტერნეტი“ ზედმეტად ზოგადია, ვინაიდან ინტერნეტი მხოლოდ გარემოა, რომელიც იძლევა ჩვევის გამომწვევი სხვადასხვა ქმედების შესრულების საშუალებას, ამიტომ აუცილებელია მოხმარებული კონტენტის გათვალისწინება. სოციალური ქსელები საიტები ვირტუალური სივრცეა, რომელშიც მომხმარებელს შეუძლია ინდივიდუალური საყოველთაოდ ხელმისაწვდომი პროფილის შექმნა, რეალურ თუ ვირტუალურ მეგობრებთან ურთიერთობა, მეგობრების სიის ჩამოყალიბება და სხვ., ანუ ორიენტირებულია ადამიანთა გაერთიანებაზე, *კომუნიკაციაზე*, რაც ფუნქციურად განასხვავებს მათ სხვა ინტერნეტ-საიტებისაგან (ვთქვათ, YouTube) (Kuss & Griffiths, 2011). ამიტომ აუცილებელია მათი გამიჯვნა. ადრე გავრცელებული ვირტუალური ქსელებისაგან განსხვავებით, რომლებიც ფოკუსირებული იყო *მონაწილეთა საერთო ინტერესებზე*, სოციალური ქსელები *ეგოცენტრულია*, ვინაიდან იძლევა *საკუთარი თავის წარმოდგენის საშუალებას* ცალკე პროფილითა და პოსტებით. სოციალურ ქსელში საქმიან-

ნობით შესაძლებელია მოტივებისა და მოთხოვნის ფართო სპექტრის დაკმაყოფილება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალური ქსელის ბუნებრივ ჩართულობას მომხმარებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, სოციალური ქსელები არსებობისა და კომუნიკაციის ხერხად იქცა. ახალგაზრდა თაობა გაიზარდა სამყაროში, რომელშიც ინტერნეტ-ტექნოლოგიები ცხოვრების განუყრელი ნაწილია, რის გამოც ცხოვრება კავშირის გარეშე წარმოუდგენელია. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ორ მნიშვნელოვან შედეგს: ჯერ ერთი, „ჩართულობა“ სტატუს-კვო გახდა; მეორეც, დღევანდელ კულტურაში არსებობს ონლაინ ქსელის წევრობის ლამის მოთხოვნა, რათა მოვლენათა კურსში იყო და არაფერი გამოტოვო, ამ „იძულებამ“ კი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს გადაჭარბებული მოხმარება. ადიქციური ქცევის (ვთქვათ, ალკოჰოლიზმისა) შეწყვეტა ძნელია იმ კავშირების გამოც, რომლებიც ადიქტს აქვს ამ საქმიანობაში ჩართულ სხვა პირებთან (Griffiths, 1996).

შესაბამისად, ზოგიერთი პირი შეიძლება სოციალურ ქსელებზე დამოკიდებული გახდეს. არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ სოციალური ქსელების გადაჭარბებულ მოხმარებას შეიძლება მოჰყვეს ქცევითი ადიქციის სიმპტომები: პრიორიტეტულობა; გუნება-განწყობილების მოდიფიკაცია; ტოლერანტულობა; აბსტინენცია; რეციდივი და კონფლიქტი (Kuss & Griffiths, 2011; Andreassen C. , 2015; Kuss, Shorter, van Rooij, Griffiths, & Schoenmakers, 2014). ზოგიერთი პირისათვის სოციალური ქსელების მოხმარება შეიძლება ერთადერთ მნიშვნელოვან საქმიანობად იქცეს. სოციალურ ქსელში პირი შედის განწყობის შესაცვლელად, სასიამოვნო ემოციების განსაცდელად. მაგრამ საწყის ეტაპზე ამის წყალობით შექმნილი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა სულ უფრო ხანგრძლივი მოხმარება (ტოლერანტულობა). მოხმარების შეწყვეტისას დამოკიდებული პირი განიცდის ნეგატიურ ფსიქოლოგიურ, ზოგჯერ კი ფიზიოლოგიურ სიმპტომებსაც კი (აბსტინენცია), რაც იწვევს პრობლემური მოხმარების აღდგენას (რეციდივი). პრობლემები, ნეგატიური შედეგები წარმოიქმნება, როგორც პრობლემური ქცევის შედეგი, რასაც მოჰყვება შიდა თუ გარე კონფლიქტები.

არსებობს სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების ამხსნელი რამდენიმე მოდელი (Turel & Serenko, 2012). კოგნიტურ-ქცევითი მოდელის თანახმად, სოციალური ქსელების გადაჭარბებული მოხმარება რიგი გარე პრობლემით დამძიმებული დისფუნქციური კოგნიციების შედეგია, რაც იწვევს მოხმარების ჩვევას. სოციალური ჩვევების მოდელის თანახმად, სოციალური ქსელების გადაჭარბებული მოხმარება განპირობებულია თვით-პრეზენტაციის სუსტი უნარებითა და ონლაინ კომუნიკაციის მჯობინებით.

სოციალურ-კოგნიტური მოდელი ვარაუდობს, რომ გადაჭარბებული მოხმარება ვითარდება დადებითი შედეგის მოლოდინისა და ინტერნეტის თვით-ფექტურობის შედეგად. ზოგი ავტორის აზრით, სოციალური ქსელების მოხმარება პრობლემური ხდება, თუ გამოიყენება ყოველდღიური პრობლემებისა და სტრესორების (დეპრესიისა და მარტოობის ჩათვლით) დასაძლევად (Xu & Tan, 2012). გამოითქვა აგრეთვე ვარაუდი, რომ პრობლემურ მოხმარებელს პირისპირ ურთიერთობა უჭირს, სოციალური ქსელების მოხმარებით კი შესაძლებელია არაერთი ისეთი დაუყოვნებლივი „სარგებლის“ მიღება, როგორცაა თვითფექტურობისა და კმაყოფილების განცდა, რასაც მოჰყვება მოხმარების გახანგრძლივება და, შედეგად, ნეგატიური შედეგების გამწვავება, მათ შორის რეალურ ურთიერთობათა უგულვებლყოფა, აკადემიური თუ პროფესიული პრობლემები. ამით გამოწვეული დეპრესიული განწყობა ისევ იხსნება სოციალური ქსელების მოხმარების გზით, ანუ იკვრება მანკიერი წრე (Griffiths, Kuss, & Demetrovics, 2014). კვლევამ 10 930 მოზარდის მონაწილეობით ექვსი ევროპული ქვეყნიდან (საბერძნეთი, ესპანეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, რუმინეთი, ისლანდია) აჩვენა, რომ სოციალური ქსელების მოხმარება დღეში ორი ან მეტი საათით იწვევს პრობლემების ინტერნალიზაციას, აკადემიური მოსწრების, აქტივობის დაქვეითებას (Tsitsika, et al., 2014).

სოციალური ქსელებში მატალი ჩართულობის მიზეზი ნაწილობრივ უკავშირდება ფენომენს, რომელსაც „გამოტოვების შიში“ (Fear of missing out – FOMO) უწოდეს: საჭირო გამოცდილების გამოტოვების, მის მიღმა დარჩენის შიში. ამის გამო შეიძლება განვითარდეს შეტყობინებათა იმპულსური შემოწმების ჩვევა, რომელიც დროთა განმავლობაში პრობლემურ ქცევაში გადაიზრდება. კვლევებმა აჩვენა, რომ FOMO-ს მატალი მაჩვენებელი უკავშირდება უფრო ხანგრძლივ მოხმარებას, დაქვეითებულ გუნება-განწყობილებას, ცხოვრებით კმაყოფილების დაბალ მაჩვენებელს, სოციალური ქსელების უადგილო (ლექციაზე) ან საშიშ (მანქანის მართვისას) მოხმარებას (Przybylski, Murayama, DeHaan, & Gladwell, 2013). FOMO სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების პრედიქტორია (Gil, Chamarro, & Oberst, 2016; Al-Menayes, 2016). ლათინური ამერიკის რამდენიმე ესპანურენოვანი ქვეყნის 5 280 მოხმარებლის მონაწილეობით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ FOMO სოციალური ქსელების გადაჭარბებული მოხმარების ნეგატიური შედეგების პრედიქტორია (Oberst, Wegmann, Stodt, Brand, & Chamarro, 2017): შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომებსა და ნეგატიურ შედეგებს შორის კავშირი გაშუალებულია FOMO-თი. ბრიტანეთში ჩატარებული კვლევამ აჩვენა, რომ FOMO-თი გაშუალებულია კავშირი სოციალური ქსელების გადაჭარბებულ მოხმარებასა და თვითშეფასების დაქვეითებას შორის (Buglass, Binder, Betts, & Underwood,

2017). პრობლემურ მომხმარებლებთან მომუშავე ფსიქოთერაპევტებთან ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ კლიენტს „შეტყობინებათა მუდმივი გაცვლის უღმობელოება აშინებს, თუმცა კავშირის მიღმა დარჩენა თავზარდაცემის ტოლფასია“ (Kuss & Griffiths, 2017, გვ. 8).

მობილურ ტელეფონზე დამოკიდებულება სოციალური ქსელებზე დამოკიდებულების ნაწილია. ინტერნეტის ანალოგიურად, მობილური ტელეფონი მხოლოდ საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პოტენციურად ჩვევის გამომწვევი ქცევა, იქნება ეს თამაში თუ სოციალური ქსელების მოხმარება. სოციალური ქსელების მომხმარებელთა დაახლოებით 80% ქსელში შესასვლელად მობილურ ტელეფონს იყენებს (Marketing Land Nearly 80 Percent of Social Media Time Now Spent on Mobile Devices, 2017). Facebook მომხმარებელთა 75% მობილური ტელეფონით სარგებლობს (Social media - Statistics & Facts , 2022).

FOMO-ს მსგავსად, *ნომოფობია* შეიძლება იყოს სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულების ნაწილი. ნომოფობია განიმარტა, როგორც მობილური ტელეფონის გარეშე დარჩენის შიში შემდეგი სიმპტომებით: რეგულარული და შრომატევადი მოხმარება, შფოთვის განცდა, თუ ტელეფონი მიუწვდომელია, შეტყობინების მრავალჯერადი შემოწმება, მუდმივი ხელმისაწვდომობა, მობილური კავშირის მჯობინება პირისპირ ურთიერთობასთან შედარებით, ფინანსური პრობლემები, როგორც მოხმარების შედეგი (Bragazzi & Del Puente, 2014). ნომოფობია თავისი არსით გამოხატავს სოციალური კავშირების მიღმა დარჩენის შიშს და ონლაინ ურთიერთობის მჯობინებას (ეს კი სოციალური ქსელების მოხმარების საკვანძო მოტივია), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ძლიერ კავშირზე ნომოფობიასა და სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების სიმპტომებს შორის. ნომოფობიამ შეიძლება გამოიწვიოს მობილური ტელეფონის იმპულსური მოხმარება და გახდეს სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულების განვითარების ხელშემწყობი პრედიქტორი, ვინაიდან ტელეფონი ამარტივებს სოციალური ქსელების მოხმარებას.

სოციალური ქსელების გადაჭარბებულ მოხმარებაზე გავლენას ახდენს სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები. მონაცემები *გენდერული განსხვავების* შესახებ წინააღმდეგობრივია. ვთქვათ, ნორვეგიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ Facebook-ზე დამოკიდებულება ქალებს შორის უფრო გავრცელებულია (Andreassen, Torsheim, Brunborg, & Pallesen, 2012); თურქეთში მასწავლებლებზე ჩატარებულმა კვლევამ საპირისპირო ტენდენცია გამოავლინა (Cam & Isbulan, 2012), ზოგიერთ კვლევაში კი განსხვავება არ დადასტურებულა (Wu & Cheng, 2007; Turel & Serenko, 2012; Koc & Gulyagci, 2013). Oberst et al. კვლევამ აჩვენა, რომ გენდერსა და სოციალური ქსელების პრობ-

ლემურ მოხმარებას შორის კავშირი გაშუალებულია სხვა ცვლადებით. შფო-
თვისა და დეპრესიის სიმპტომების საფუძველზე ნეგატიური შედეგების წი-
ნასწარმეტყველება შესაძლებელია მხოლოდ ქალებს შორის (Oberst,
Wegmann, Stodt, Brand, & Chamarro, 2017). ასეთი არაერთგვარი შედეგების
მიზეზი შეიძლება იყოს განსხვავებული შეფასების ინსტრუმენტები, გარე
ცვლადები და სხვ., ანუ მეთოდოლოგიური პრობლემები. რაც შეეხება ასაკს,
ახალგაზრდებს შორის სოციალური ქსელების გადაჭარბებული მოხმარებით
გამოწვეული პრობლემები უფრო ხშირია (Echeburua & de Corral, 2010); ამ ტენ-
დენციას არაერთი კვლევა ადასტურებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ განსხვა-
ვებულია ახალგაზრდებისა და უფროსი თაობის წარმოდგენა შესაძლო აღი-
ქციაზე: მოზარდები ნაკლებად აღიქვამენ სოციალური ქსელების მოხმარე-
ბას, როგორც პრობლემურს, ვიდრე მათი მშობლები; ამასთანავე, დედები სა-
ფრთხეს უკეთ აცნობიერებენ, ვიდრე მამები (Latif, Uckun, Gökkaya, & Demir,
2016). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სოციალური ქსელების მოხმარე-
ბა არსებობის ხერხი გახდა, ანუ კონტექსტუალურია, ამიტომ საჭიროა მისი
გამიჯვნა ფაქტობრივი ფსიქოპათოლოგიური სიმპტომებისაგან.

ამრიგად, იმ ფაქტს, რომ სოციალური ქსელების გადაჭარბებული,
არაკონტროლირებადი მოხმარება ნეგატიურად მოქმედებს ფსიქიკურ ჯანმ-
რთელობაზე, იწვევს ემოციურ, კოგნიტურ პრობლემებს, ჯანმრთელობის
პრობლემებს, სოციალურ თუ პროფესიულ სირთულეებს, ადასტურებს სხვა-
დასხვა ქვეყანაში თითქმის ოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში ჩატა-
რებული უკლებლივ ყველა კვლევა. უფრო მეტიც, ზოგიერთ პირს გარკვეული
პიროვნული მახასიათებლებით შეიძლება ქცევითი აღიქვის სიმპტომებიც
განუვითარდეს. თუმცა, საკითხი იმის შესახებ, *ფსიქოსოციალური პრობლე-
მები (დეპრესია, მარტოობის განცდა, შფოთვა, სოციალური უნარების დეფი-
ციტი და სხვ.) გადაჭარბებული მოხმარების შედეგია თუ მიზეზი, დღემდე
ღიად ჩრება.* ქვემოთ წარმოდგენილია ამ საკითხისადმი მიძღვნილი ბოლო
წლების ემპირიული კვლევების მოკლე მიმოხილვა.

ემოციების რეგულაცია გულისხმობს ემოციების გაცნობიერებისა და
მიღების, იმპულსური ქცევის კონტროლისა და პირადი მიზნების შესაბამის-
ად მოქცევის უნარს (Gratz & Roemer, 2004). კვლევებმა დაადასტურა ემო-
ციების რეგულაციის დეფიციტის როლი არაერთი კლინიკური აშლილობის
განვითარებაში, ალკოჰოლზე (Fox, Hong, & Sinha, 2008), კოკაინზე (Fox,
Axelrod, Paliwal, Sleeper, & Sinha, 2007), აზარტულ თამაშებზე (Williams,
Grisham, Erskine, & Cassidy, 2012; Rogier & Velotti, 2018) დამოკიდებულების
ჩათვლით. ემოციების დისრეგულაცია ზრდის ადიქციური ქცევის რისკს – ნე-
გატიური ემოციებისაგან „გასაქცევად“ ან მათ შესამსუბუქებლად (Yu, Kim, &

Hay, 2013). ინტერნეტის პრობლემური მოხმარება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ონლაინ რეალობაში „გაქცევა“ უსიამოვნო ემოციებთან გასამკლავებლად (Kardefelt-Winther, 2014; Musetti, et al., 2019; Tokunaga, 2015). ემოციების რეგულაციასა და ადიქციას (ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებით თუ მოხმარების გარეშე) შორის კავშირის კვლევამ აჩვენა, რომ ემოციების დისრეგულაცია ყველა ტიპის პრობლემური ქცევის პრედიქტორია (Estévez, Jáuregui, Sánchez-Marcos, López-González, & Griffiths, 2017).

ემოციურ დისრეგულაციასა და სოციალური ქსელების პრობლემურ მოხმარებას შორის ძლიერი კავშირი დადასტურდა როგორც მოზარდებს (Amendola, Spensieri, Guidetti, & Cerutti, 2019; Liu & Ma, 2019), ისე ახალგაზრდებს (Ceyhan, Boysan, & Kadak, 2019; Marino, et al., 2019) შორის. ლონგიტუდურმა კვლევამ 12 თვის ინტერვალით აჩვენა, რომ ემოციების რეგულირების დეზადაპტაციური სტრატეგიები პრობლემური მოხმარების სპონტანური რემისიის პრედიქტორია (Wartberg & Lindenbergh, 2020). პრობლემური მოხმარება შეიძლება თამამობდეს სიძნელეთა დაძლევის დეზადაპტაციური სტრატეგიის როლს ემოციების რეგულაციის დეფიციტის მქონე პირთა შორის – ეს ეხმარება მათ ნეგატიური ემოციებისგან ყურადღების გადატანაში, რეალობისგან გაქცევაში, მარტოობის განცდის, დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის შემსუბუქებაში (Spada & Marino, 2017; Mo, Chan, Chan, & Lau, 2018). ამრიგად, დადასტურდა ჯერ კიდევ ადრეულ ნაშრომებში გამოთქმული ვარაუდი, რომ პრობლემური მოხმარება სიძნელეებთან გამკლავების სტრატეგიაა – კომპენსაცია ან დისფორიული განწყობის, ნეგატიური ემოციების შემსუბუქება (Young K., 1998; Kardefelt-Winther, 2014).

2010-2020 წლებში გამოქვეყნებული კვლევების სისტემურმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ სოციალური ქსელების პრობლემურ მოხმარებლებს ადენიშნებათ ემოციების რეგულაციის პრობლემები, მათ შორის იმპულსების სუსტი კონტროლი, მიზანმიმართული ქცევის განხორციელების სირთულე, ემოციების რეგულაციის დეზადაპტაციური სტრატეგიები. ავტორთა დასკვნით, ემოციების რეგულირების სირთულე ზრდის პრობლემური მოხმარების რისკს (Gioia, Rega, & Boursier, 2021). ურთიერთკავშირი ემოციების დისრეგულაციასა და პრობლემურ მოხმარებას შორის გაშუალებულია სტრესული ცხოვრებისეული მოვლენებითა (Wang et al., 2018) და დისსტრესისადმი ტოლერანტულობით (Akbari, 2017). თუმცა, Yorulmaz et al. (2020) კვლევამ საპირისპირო შედეგი აჩვენა: სტრესულ ცხოვრებისეულ მოვლენებსა და პრობლემურ მოხმარებას შორის კავშირი გაშუალებულია ემოციების დისრეგულაციით, ანუ ეს უკანასკნელი მედიატორის ფუნქციას ასრულებს. კიდევ ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ნეგატიური აფექტი (დეპრესია, შფოთვა და სტრესი)

პირდაპირ დადებით გავლენას ახდენს ემოციური დისრეგულაციის დონეზე, რომელიც, თავის მხრივ, ასევე პირდაპირ დადებით გავლენას ახდენს პრობლემური მოხმარების დონეზე, ანუ ემოციური დისრეგულაცია მედიატორის როლს თამაშობს. ავტორების აზრით, ასეთი შედეგი კომპენსატორული ქცევის სასარგებლოდ მეტყველებს: პრობლემური მოხმარება არის „გაქცევა“ („ესკაპიზმი“), რომელიც გამოიყენება დისსტრესთან, ნეგატიურ ემოციებთან საბრძოლველად ემოციების რეგულაციის ეფექტური სტრატეგიების არქონის შემთხვევაში, ანუ პრობლემური მოხმარება ემოციების რეგულირების დისფუნქციური დაძლევის სტრატეგიაა (Guerrini Usubini, et al., 2022).

უნგრელ მეცნიერთა კვლევაში, რომელშიც შესწავლილია ემოციების კოგნიტური რეგულაციისა და სოციალური შფოთვის როლი სმარტფონისა და სოციალური ქსელების პრობლემურ მოხმარებაში, აჩვენა, რომ სოციალური შფოთვა ხელს უწყობს სოციალური ქსელების მოხმარების უფრო მაღალ დონეს. ემოციების რეგულაციის დეზადაპტაციური სტრატეგიები იწვევს როგორც სმარტფონის, ისე სოციალური ქსელების პრობლემურ მოხმარებას. დეზადაპტაციური სტრატეგიები არაეფექტურია სოციალური შფოთვით გამოწვეული ნეგატიური აფექტური მდგომარეობის შესაცვლელად. ყველაზე ძლიერი ნეგატიური ეფექტი აქვს კატასტროფიზაციის სტრატეგიას, შემდეგ რუმინაციასა და საკუთარი თავის დადანაშაულებას, თუმცა სხვათა დადანაშაულების ეფექტი უმნიშვნელოა. ავტორების დასკვნით, ასეთი შედეგი მეტყველებს Kardefelt-Winther კომპენსატორული მოდელის სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც პრობლემური მოხმარება თავისთავად არის არა პათოლოგია, არამედ კომპენსატორული ქცევა, რომელიც იძლევა აქტუელი პრობლემებისაგან გაქცევისა და ნეგატიური აფექტური მდგომარეობის რეგულირების საშუალებას (Zsidó, et al., 2021). ასეთივე შედეგი დადასტურდა ესპანელ მოზარდებს შორის ჩატარებულ კვლევაში: გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება კატასტროფიზაციის, რუმინაციის, საკუთარი თავისა და სხვების დადანაშაულების სტრატეგიების მიხედვით (Extremera, Quintana-Orts, Sánchez-álvarez, & Rey, 2019). ჰოლანდიელ მეცნიერთა კვლევაში მათემატიკური მოდელირების გზით შესწავლილია სოციალური ქსელების პრობლემურ მოხმარებასა და ემოციების რეგულაციის პროცესს შორის კავშირის საფუძვლად მდებარე შიდა მექანიზმი, აგრეთვე ფსიქოთერაპიის როლი. მოდელი შეიცავს ემოციების რეგულაციის სამ სტრატეგიას: დათრგუნვა, გაქცევა და გადაფასება. შედეგმა აჩვენა, რომ თერაპია იქნება ეფექტური და შეამცირებს როგორც დეპრესიის, ისე პრობლემური მოხმარების დონეს, თუ ის ხელს შეუწყობს დათრგუნვისა და გაქცევის ჩანაცვლებას ნეგატიური ემოციების გადაფასებით (Fokker, Zong, & Treur, 2021).

ფსიქიკური ჯანმრთელობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 264 მლნ. ადამიანს დეპრესია აწუხებს (WHO, 2020). 2005 წლიდან 2017 წლამდე მოზარდებს შორის დეპრესიის გავრცელება 52%-ით გაიზარდა (Twenge, Cooper, Joiner, Duffy, & Binau, 2019). სტუდენტთა ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება: ყოველი მესამე სტუდენტი განიცდის სტრესს, რომელიც კლინიკურ ყურადღებას მოითხოვს (Lipson, Lattie, & Eisenberg, 2019). დიდ ბრიტანეთში მოზარდებს შორის ყველაზე გავრცელებული აშლილობაა შფოთვითი აშლილობა და დეპრესია (Foundation, 2018). თანამედროვე საზოგადოებაში დეპრესიის ასეთი ფართო გავრცელების საკვანძო რისკ-ფაქტორად ზოგიერთ მკვლევარს სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარება მიაჩნია (Cain, 2018; Haidt & Allen, 2020; Ivie, Pettitt, Moses, & Allen, 2020; McCrae, Gettings, & Pursell, 2017; Twenge, Joiner, Rogers, & Martin, 2018), თუმცა საპირისპირო მოსაზრებაც არსებობს: დეპრესიული სიმპტომების მქონე პირისათვის სოციალური ქსელები ნეგატიური განცდების შემსუბუქების თუ დაუკმაყოფილებელი ფსიქოსოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებაა (Kardefelt-Winther, 2014; Caplan S. E., 2010; Guerrini Usubini, et al., 2022). უფრო მეტიც, ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ სოციალური ქსელებისათვის ასეთი „განაჩენის“ გამოტანა გამოწვეულია ახალი ტექნოლოგიების შიშით, მორალური პანიკით (Walsh, 2020). „უკანასკნელი ორი ათწლეულის სამეცნიერო ლიტერატურა ცხადყოფს, რომ საქმე ფსიქიკურ ჯანმრთელობას თუ ეხება, ტექნოლოგია განიხილება ან როგორც პანაცეა, ანდა ანათემას გადაეცემა“ (Aboujaoude & Gega, 2020, გვ. 1). გამოითქვა აგრეთვე მოსაზრება, რომ ეს განპირობებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ცნობიერების ამაღლებით: სტიგმის მოხსნის წყალობით ახალგაზრდებს აღარ უჭირთ მათი ფსიქოლოგიური პრობლემების აღიარება და პროფესიული დახმარებისათვის მიმართვა (McCrae, 2019).

აშშ-ში რეპრეზენტაბელურ შერჩევაზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პრობლემური მოხმარება 9%-ით ზრდის დეპრესიული სიმპტომების არსებობის შანსს (Shensa, et al., 2017). საფრანგეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ Facebook პრობლემური მოხმარების შემთხვევაში განსაკუთრებით გამოხატულია ობსესიურ-კომპულსიური სიმპტომები, რაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ პრობლემური მოხმარება უფრო ჰგავს ობსესიურ-კომპულსიურ აშლილობას, ვიდრე ადიქციურს. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ შესაძლებელია პრობლემური მოხმარების პროგნოზირება მტრობის განცდის საფუძველზეც. გამოვლინდა გენდერული განსხვავება: ქალებს შორის პრობლემური მოხმარებელი მეტია (Laconi, Verseillie, & Chabrol, 2018).

ავსტრალიელ მეცნიერთა სისტემურმა მიმოხილვამ, რომელშიც გაანალიზებულია 2005-2016 წლებში გამოქვეყნებული 70 პუბლიკაცია, გამოავლინა განსხვავება სოციალური ქსელების პასიურ (Scrolling) და აქტიურ მოხმარებას შორის: პასიურ მოხმარებას უკავშირდება სოციალური შფოთვისა და დეპრესიის უფრო მაღალი დონე. პასიურ მოხმარებასა და სოციალურ შფოთვისას შორის კავშირი გაშუალებულია რუმინაციით, ხოლო პასიურ მოხმარებასა და დეპრესიას შორის – შურიტ, რომელიც აძლიერებს დეპრესიის სიმპტომებს. ზოგიერთ კვლევაში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ნეგატიური კავშირი შფოთვისას, დეპრესიასა და სოციალურ ქსელში მეგობრების რაოდენობას შორის, თუმცა სხვა კვლევებში ეს არ დადასტურდა. სოციალურ ქსელში აღქმული სოციალური მხარდაჭერა მეგობრების მხრიდან დაცვით ფუნქციას ასრულებს – ასუსტებს დეპრესიულ სიმპტომებს, თუმცა მაღალი დეპრესიული სიმპტომების შემთხვევაში სოციალური მხარდაჭერა სათანადოდ ვერ აღიქმება: აღქმული მხარდაჭერა ნაკლებია ფაქტობრივად მიღებულზე. დეპრესიული განწყობა ძლიერდება, თუ სოციალური მხარდაჭერის ძიებისას ეს ვერ მოხერხდა (აღქმის დონეზე). დეპრესიისა და შფოთვის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია სოციალური შედარება, რომელიც აძლიერებს ორივეს სიმპტომებს. ამ კავშირში მოდერატორის როლს რუმინაცია თამაშობს: ხშირი სოციალური შედარება აძლიერებს რუმინაციას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს დეპრესიულ სიმპტომებს. არ გამოვლინდა სოციალური ქსელში გატარებული დროის კავშირი დეპრესიასა და შფოთვისასთან (Seabrook, Kern, & Rickard, 2016).

ამერიკელ მეცნიერთა სისტემურმა მიმოხილვამ (2021 წლამდე გამოქვეყნებული 52 პუბლიკაციისა), აჩვენა, რომ მაღალი სოციალური შფოთვის მქონე პირი, რომელიც ამჯობინებს ონლაინ ურთიერთქმედებას, სოციალურ ქსელს უფრო ხშირად და ინტენსიურად მოიხმარს, თუმცა უმეტესად პასიურად, უფრო მიდრეკილია პრობლემური მოხმარებისაკენ. სოციალური შფოთვა დადებითად უკავშირდება სოციალური ქსელების გამოყენებას თვითპრეზენტაციის მიზნებისათვის (რათა გამოჩნდე უფრო სრულყოფილი და არასრულყოფილება არ გამოავლინო), აგრეთვე კუთვნილებისა და ჩართულობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (O'Day & G., 2021).

ისრაელელ მეცნიერთა სისტემურ მიმოხილვაში (2021 წლამდე გამოქვეყნებული 84 კვლევა) განხილულია სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების გავლენა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. შედეგებმა გამოავლინა კომორბიდულობა დეპრესიასთან, შფოთვისასთან, ობსესიურ-კომპულსიურ აშლილობასთან, ემოციების კოგნიტური რეგულაციის დეფიციტთან, იმპულსურობასთან, კოგნიტური ფუნქციების დარღვევასთან (ყურადღების კონცენტრაციის, განაწილების პრობლემები, ოპერაციული მეხსი-

ერების გაუარესება და სხვ.), სტრესთან, სხვა ნეგატიურ ემოციებთან, მართობასთან, მორიდებულობასთან, დაბალ თვითშეფასებასთან. სამედიცინო პრობლემები მოიცავს ძილის პრობლემას, არაჯანსაღ კვებით ჩვევებს, თავის ტკივილს, კოგნიტური კონტროლის დაქვეითებას, თავის ტვინის რუხი ნივთიერების მოცულობის შემცირებას. 4 277 მოზარდის fMRI-გამოკვლევა³ გამოავლინა უარყოფითი კორელაცია ეკრანის აქტიურ მოხმარებასა და თავის ტვინის ქერქის სისქეს შორის, რაც ტვინის ნაადრევი დაბერების ნიშანია (Wacks & Weinstein, 2021).

როგორც ითქვა, საკითხი იმის შესახებ, ფსიქოსოციალური პრობლემები პრობლემური მოხმარების შედეგია თუ მიზეზი, დიად რჩება. მართალია, ლონგიტუდური კვლევები მიზეზ-შედეგობრივი დასკვნების გამოტანის, ანუ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის, საშუალებას არ იძლევა, მაგრამ შესაძლებელია ცვლადების შორის მიმართულების (დროში რიგითობის) განსაზღვრა. მოზარდთა რეპრეზენტაბელურ შერჩევაზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 1-2 წლიანი დაკვირვებისას სოციალური ქსელების მოხმარების სიხშირე არ იძლევა დეპრესიული სიმპტომების გაძლიერების პროგნოზირების საშუალებას (Jensen, George, Russell, & Odgers). მოზრდილ ამერიკელებზე ლონგიტუდური დიზაინით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური ქსელების მოხმარება უკავშირდება ფსიქოლოგიური სტრესის შემცირებას ამ საიტების შესაძლებლობათა წყალობით (Hampton, 2019). მოზარდებსა და სტუდენტებზე ორ და ექვსწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ დეპრესიული სიმპტომები წინ უსწრებს სოციალური ქსელების მოხმარების ზრდას და არა პირიქით (Heffer, Good, Daly, MacDonell, & Willoughby, 2019). მოზარდი-გოგონების ორწლიანმა შესწავლამ ანალოგიური შედეგი აჩვენა: დეპრესიული სიმპტომების საწყისი დონე პრობლემური მოხმარების პრედიქტორია (Raudsepp & Kais, 2019). ანალოგიური შედეგი აჩვენა მოზარდების 6 წლიანმა დაკვირვებამ (Puukko, Hietajärvi, Maksniemi, & Alho, 2020).

ესპანელ მოზარდებზე ჩატარდა ლონგიტუდური კვლევა (ერთი წლის ინტერვალით), რომელიც მიზნად ისახავდა ურთიერთკავშირის გარკვევას დეპრესიულ სიმპტომებსა და პრობლემური მოხმარების კომპონენტებს (ონლაინ კომუნიკაციის მჯობინება, განწყობილების შეცვლა, არასაკმარისი თვითრეგულაცია და ნეგატიური შედეგები) შორის. შედეგებმა დაადასტურა კოგნიტურ-ქცევითი მოდელის ძირითადი ჰიპოთეზა: ფსიქოლოგიური პრობლემები განაპირობებს პრობლემური მოხმარების განვითარების რისკს.

³ ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული სკანირება, ზომავს და ასახავს თავის ტვინის აქტივობას.

აღმოჩნდა, რომ დროის საწყის მომენტში დეპრესიული სიმპტომების საფუძველზე შესაძლებელია პრობლემური მოხმარების ოთხი კომპონენტიდან სამის შესახებ პროგნოზის გაკეთება ერთწლიანი შუალედით. კერძოდ, საწყის მომენტში დეპრესიული სიმპტომების საფუძველზე შეიძლება პროგნოზირება იმისა, რომ ერთი წლის შემდეგ გაძლიერდება: ჯერ ერთი, ონლაინ კომუნიკაციის მჯობინება, მეორეც, განწყობილების შესაცვლელად მოხმარება, მესამეც, ნეგატიური შედეგები. დეპრესიული სიმპტომების კავშირი მნიშვნელოვანი არ იყო მხოლოდ ერთ კომპონენტთან – თვითრეგულაციასთან. რაც შეეხება უკუპროგნოზს, საწყის მომენტში პრობლემური მოხმარების კომპონენტებიდან ერთწლიანი შუალედით პროგნოზის გაკეთება დეპრესიული სიმპტომების შესახებ შესაძლებელია მხოლოდ ნეგატიური შედეგების საფუძველზე. გენდერული განსხვავება არ გამოვლინდა (Gámez-Guadix M. , 2014).

ბელგიელ მოზარდთა შორის ჩატარებული ლონგიტუდური კვლევა (ექვსი თვის შუალედით) მიზნად ისახავდა Instagram პასიური („დათვალიერება“) და აქტიური (გამოქვეყნება და „ლაიკი“) მოხმარების გავლენის შესწავლას დეპრესიულ განწყობილებაზე. შედეგმა აჩვენა, რომ დროის საწყის მომენტში პასიური მოხმარების საფუძველზე შესაძლებელი იყო პროგნოზის გაკეთება დეპრესიულ განწყობილების გაძლიერებაზე ექვსი თვის შემდეგ. რაც შეეხება აქტიურ მოხმარებას, გამოქვეყნება და „ლაიკი“ არ უკავშირდება დაქვეითებულ განწყობილებას ექვსი თვის შემდეგ. საწყის მომენტში დაქვეითებული განწყობილების საფუძველზე შესაძლებელი აღმოჩნდა ექვსთვიანი შუალედით პროგნოზის გაკეთება მხოლოდ პუბლიკაციის შესახებ, ანუ დაქვეითებული განწყობილება უკავშირდება მხოლოდ პუბლიკაციების განხირობას ექვსი თვის შემდეგ. ავტორების თქმით, Facebook-თან შედარებით Instagram-ით დაქვეითებული განწყობილების შესამსუბუქებლად ემოციების გამოხატვისა და სოციალური მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობა შეზღუდულია, რის გამოც პუბლიკაცია და „ლაიკი“ დაქვეითებულ განწყობილებას ვერ ცვლის (Frison & Eggermont, 2017).

პიროვნული მახასიათებლები. Tonioni et al კვლევამ, რომელშიც შედარებულია ორი კლინიკური ჯგუფი (ინტერნეტ-ადიქტები და მოთამაშეები), აჩვენა, რომ ეს ორი მოვლენა სხვადასხვა აშლილობაა, თუმცა მათ შორის დასტურდება მსგავსებაც – ფსიქოპათოლოგიური სიმპტომებისა და *ფსიქოლოგიური პროფილის* მიხედვით (Pontes, Kuss, & Griffiths, 2015). ყველა კვლევა ადასტურებს, რომ სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარება უკავშირდება გარკვეულ პიროვნულ ნიშნებს (Kuss & Griffiths, 2017). Kayış, et al მეტა-ანალიზმა (12 კვლევა) აჩვენა, რომ დიდი ხუთეულის მოდელის ხუთივე ძირითადი ფაქტორი უკავშირდება პრობლემურ მოხმარებას. კერძოდ, კორელა-

